


ფრიდრიხ ნიცშე

რჩეული თხზულებები - I



ECCE HOMO

როგორ ხდება აღაზიანი ის,
რაც ის არის

ფრიდრიხ ნიცშე

რჩეული თხზულებები

ტ. I:

ECCE HOMO

**როგორ ხდება ადამიანი ის,
რაც ის არის**

გერმანულიდან თარგმნა

გიორგი თავაძემ

თბილისი
2011

ბრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი

ფრიდრიხ ნიცშე
რჩეული თხზულებები
აკადემიურ-კრიტიკული გამოცემა ქართულ ენაზე

ტომი I:

ECCE HOMO

როგორ ხდება ადამიანი ის, რაც ის არის

მთავარი რედაქტორი:
თენგიზ ირემაძე

რედაქტორები:
ლალი ზაქარაძე
გიორგი თავაძე

საკონსულტაციო საბჭო:
გიორგი ბარამიძე
გურამ თევზაძე
უდო რაინჰოლდ იეკი
დოდო ლაბუჩიძე
პელმუტ შნაიდერი

ტომის რედაქტორები:
თენგიზ ირემაძე
ლალი ზაქარაძე

© თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გიორგი თავაძე, 2011
პირველი ქართული გამოცემა, 2011
გამომცემლობა „ნეკერი“, 2011

Friedrich Nietzsche: Selected Works in Georgian,
vol. I: Ecce homo, edited by Tengiz Iremadze and Lali Zakaradze.
Translated by Giorgi Tavadze, Publishing House “Nekeri”, Tbilisi, 2011, 248 pp.

ISBN 978-9941-416-97-2

სარჩევი

მთავარი რედაქტორის წინათქმა.....	5
მთარგმნელის წინასიტყვაობა	7
<i>გიორგი თავაძე</i>	
ფრიდრიხ ნიცშე და მისი <i>Ecce homo</i>	11
<i>ფრიდრიხ ნიცშე</i>	
ECCE HOMO . როგორ ხდება ადამიანი ის, რაც ის არის	15
წინასიტყვაობა	17
შინაარსი	21
რატომ ვარ ასეთი ბრძენი.....	23
რატომ ვარ ასეთი ჭკვიანი.....	36
რატომ ვწერ ასეთ კარგ წიგნებს	54
ტრაგედიის დაბადება	64
არათანადროულნი	70
ადამიანური, ერთობ ადამიანური	75
ცისკრის ვარსკვლავი.....	81
მხიარული მეცნიერება.....	84
ესე იტყოდა ზარატუსტრა.....	85
სიკეთისა და ბოროტების მიღმა.....	99
მორალის გენეალოგია	101
კერპების მწუხრი	103
ვაგნერის საქმე	106
რატომ ვარ ბედისწერა.....	113
დანართი 1: ფრიდრიხ ნიცშეს ცხოვრების ქრონიკა	122
დანართი 2: შეშლილობის პერიოდის წერილები	173

შენიშვნები	182
გიორგი თავაძე	
ადამიანი-დინამიტი.	
ფრიდრიხ ნიცშეს პიროვნება და	
მისი ამოცანა <i>Ecce homo</i> -ს მიხედვით	227
სახელთა საძიებელი	243

მთავარი რედაქტორის წინათქმა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი წინამდებარე გამოცემით ახალი მთარგმნელობითი და სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებას იწყებს. ამჯერად, ქართველ მკითხველს ვთავაზობთ დიდი გერმანელი ფილოსოფოსის, ფრიდრიხ ვილჰელმ ნიცშეს რჩეული თხზულებების ქართულ თარგმანებს. ამ გამოცემის პირველ ტომში შესულია ნიცშეს საყოველთაოდ ცნობილი ნაშრომის – *Ecce homo* – პირველი ქართული თარგმანი, რომელიც ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა გიორგი თავაძემ შეასრულა.

წინამდებარე გამოცემაში ვცაადეთ, რომ ფილოსოფიის კლასიკური მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ტექსტების თარგმანისა და გამოცემისადმი ნაყენებულ მოთხოვნები სრულად დაგვეკმაყოფილებინა. *Ecce homo*-ს წინამდებარე ქართულ გამოცემას თან ერთვის მთარგმნელის ვრცელი შენიშვნები და კომენტარები, ასევე, ტექსტის საკვანძო პრობლემების დანვრისებითი ანალიზი; აქ წარმოდგენილი კრიტიკული აპარატი ხელს შეუწყობს მკითხველს, რომ ადეკვატურად გაიგოს ეს მეტად უჩვეულო ნაშრომი.

ფრიდრიხ ნიცშეს პიროვნებითა და თხზულებებით დაინტერესებული მკითხველისთვის ცნობილია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება *Ecce homo*-ს გერმანელი ფილოსოფოსის ნააზრევის გაგებისა და შეფასებისათვის; ნიცშე ამ ნაშრომით მიზნად ისახავს, მთელი თავისი შემოქმედების თანმიმდევრული და კომპლექსური ხედვა შემოგვთავაზოს. აქ საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავიგოთ ალტერნატიული აზროვნების ის პროგრამა, რომელიც მან განავითარა. თუმცა გერმანელი ფილოსოფოსი ვრცლად მსჯელობს იმის შესახებაც, თუ როგორ არ უნდა გავიგოთ მისი შემოქმედების ექსპერიმენტული იდეები. ნიცშე თავს იზღუდვს მისი ნაშრომების მთელი რიგი მცდარი ინტერპრეტაციებისაგან. *Ecce homo*-ში ტრადიციის ყალბი სტრატეგიებისაგან თავდახსნის მცდელობებია წარმოდგენილი. უნდა ითქვას, რომ ნიცშეს ეს სვლა წარმატებული აღმოჩნდა: ხელთ გვაქვს დიდი მოაზროვნის მიერ შექმნილი ძალზე შთაბეჭდავი ავტობიოგრაფია, რომელიც ავტორის ცხოვრებისა და შემოქმედების გასაღებს წარმოადგენს. ამდენად, შემთხვევითი არ არის, რომ ფრი-

დრიხ ნიცშეს თხზულებების პირველ ქართულ აკადემიურ-კრიტიკულ გამოცემას ამ ნაშრომის გამოქვეყნებით ვინყებთ.

ფრიდრიხ ნიცშეს რჩეული თხზულებების მეორე ტომში კი შევა მისი არანაკლებ მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაშრომი „კერპების მწუხრი“, რომლის ქართული თარგმანი – სათანადო შენიშვნებითა და კომენტარებით – უკვე მზადაა გამოსაქვეყნებლად.

იმედი გვაქვს, რომ წინამდებარე პროექტი ხელს შეუწყობს ფრიდრიხ ნიცშეს შემოქმედების უკეთ ათვისებას საქართველოში: ის, ასევე, ნაადგება ნიცშეს მოძღვრების ქართული რეცეფციის ისტორიის სრულყოფილი შესწავლის საქმეს.

თენგიზ ირემაძე

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა
კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი*

ქ. თბილისი, 26 მაისი, 2011 წელი

მთარგმნელის წინასიტყვაობა

1900 წლის 25 აგვისტოს, გერმანიის ქალაქ ვაიმარში, გარდაიცვალა ფრიდრიხ ნიცშე, ადამიანი, რომელმაც წარმოუდგენლად დიდი გავლენა მოახდინა ევროპული და, საერთოდ, მსოფლიო კულტურის შემდგომ განვითარებაზე.

110 წლის შემდეგაც ნიცშეს ფილოსოფიურ მემკვიდრეობას აქტუალობა არ დაუკარგავს: როგორც კონტინენტურ, ასევე ანგლო-საქსურ ფილოსოფიურ ტრადიციაში ნიცშეს შესახებ აქტიურად მსჯელობენ. ნიცშე იმ იმეით ფილოსოფოსთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც თანაბრად პოპულარულია როგორც აკადემიურ, ასევე, არაკადემიურ წრეებში. მას ეძღვნება ისეთი ავტორიტეტული გამოცემები, როგორიცაა „Nietzsche Studien. Internationales Jahrbuch für die Nietzscheforschung“ (რედაქტორები: გიუნტერ აბელი, ვერნერ შტეგმაიერი; გერმანია, ვალტერ დე გროიტერის გამომცემლობა), „Nietzscheforschung“ (რედაქტორები: ფოლკერ გერჰარდტი, რენატე რეშკე; გერმანია, აკადემიის გამომცემლობა), „The Journal of Nietzsche Studies“ (რედაქტორები: კრისტა დევის აკამპორა, ენთონი ჯენსენი, პოლ ს. ლოები; აშშ, პენსილვანიის უნივერსიტეტის გამომცემლობა) და სხვ., სადაც ნიცშეს შემოქმედებისა და პიროვნების შესახებ თანამედროვეობის წამყვანი ფილოსოფოსების სტატიები იბეჭდება. გარდა ამისა, ყოველწლიურად სხვადასხვა ენაზე ნიცშეს შესახებ უამრავი სამეცნიერო გამოკვლევა გამოდის.

საქართველოში ნიცშეს რეცეფციას დიდი ხნის ისტორია აქვს: XX საუკუნის დასაწყისში ნიცშეზე წერდნენ გრიგოლ რობაქიძე, დავით კასრაძე, კონსტანტინე გამსახურდია, კონსტანტინე კაპანელი და სხვ.

საბჭოთა ოკუპაციის წლებში ნიცშეს სახელი ფაშიზმთან და იმპერიალიზმთან ასოცირდებოდა (იხ. ა. ქუთელია, „გერმანიის ფაშიზმის იდეოლოგიის სათავეები. ნიცშე და ფაშიზმი“, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი, თბილისი, 1944 წ.), თუმცა, XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართულ სამეცნიერო წრეებში ნიცშეთი დაინტერესება გაიზარდა (თ. ბუაჩიძე, „ფრიდრიხ ნიცშე“, იხ.: XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, რედ. გ. თევზაძე, თბილისი, 1970, გამომცემლობა „განათლება“, გვ. 24-39; ა. პოპიაშვილი, „ინდივიდის პრობლემა

ს. კირკეგორისა და ფ. ნიცშეს ფილოსოფიაში", გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1988 წ.).

უკანასკნელ წლებში საქართველოში ნიცშეს ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესწავლის თვისებრივად ახალ, მეცნიერულ დონეზე აყვანა პროფ. თენგიზ ირემაძის სახელს უკავშირდება (იხ. თ. ირემაძე, „ფრიდრიხ ნიცშე. ‘ესე იტყოდა ზარატუსტრა’: ტექსტი და კონტექსტი“, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2006 წ.); მისივე რედაქტორობით გამოიცა სამეცნიერო კრებული „ნიცშე საქართველოში“ (გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007 წ.), რომელიც ქართველი ფილოსოფოსის თამაზ ბუაჩიძის (1930-2001 წწ.) ხსოვნას მიეძღვნა. აღნიშნული კრებული საქართველოში ნიცშეს რეცეფციის გააზრების ყველაზე სრულყოფილ მცდელობას წარმოადგენს.

2005 წელს სრულიად შემთხვევით ჩემს ხელთ აღმოჩნდა **Insel Taschenbuch Verlag**-ის მიერ 1979 წელს გამოცემული ფრიდრიხ ნიცშეს „*Ecce homo. Wie Man wird, Was Man ist*“. ნაწარმოების თარგმნის იდეა პირველი ნაკითხვისთანავე გამიჩნდა. მაშინ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. ჩემი ჩანაფიქრი გავანდე პროფ. გურამ თევზაძეს, რომელიც იმ პერიოდში ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო. პროფ. თევზაძემ ფასდაუდებელი დახმარება გამიწია *Ecce homo*-ს პირველი თავების ჩემული თარგმანის კორექტირებაში. ეს დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, რადგან ნებისმიერი ნამოწევის დასაწყისი ძალზედ მნიშვნელოვანია და დიდწილად განსაზღვრავს მის შემდგომ ბედს. არ შემიძლია, აგრეთვე, მაღლიერებით არ მოვიხსენო პროფ. გიორგი ბარამიძე, რომელიც ყოველთვის დაინტერესებული იყო, რომ თარგმანზე მუშაობა გამეგრძელებინა. მისი აქტიურობა დამატებით სტიმულს აძლევდა თარგმნის მეტად რთულ პროცესს. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეგობრებს: გურანდა აჩელაშვილს, ეკა გამრეკელაშვილს, გიორგი სანიკიძესა და ანდრო სოლოლაშვილს, რომლებმაც, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, აქტიური მონაწილეობა მიიღეს *Ecce homo*-ს თარგმანის განხილვაში და მრავალი საყურადღებო რჩევა მომცეს.

2007 წლიდან სამეცნიერო მუშაობა პროფ. ირემაძესთან განვაგრძე. დღინყო თარგმანზე მუშაობის თვისებრივად ახალი ეტაპი.

ამ პერიოდში გაჩნდა იდეა, რომ თარგმანს თან დართვოდა ნიცშეს ცხოვრების ქრონიკა (იხ. დანართი 1). ეს გამოწვეული იყო ქართულ სააზროვნო სივრცეში ნიცშეს მეტ-ნაკლებად სრული ბიოგრაფიის არარსებობით. ჩვენი აზრით, ასეთი ქრონიკა მკითხველისათვის ძალიან სასარგებლო იქნება, რადგან ნიცშე იმ ფილოსოფოსთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის შემოქმედება და პირადი ცხოვრება ერთმანეთისაგან განუყოფელია.

2007 წლის ბოლოს ქართულ ფილოსოფიურ სივრცეში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, ამავე უნივერსიტეტის რექტორის, პროფ. მამუკა თავბელიძის ხელშეწყობით, დაარსდა ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი (დირექტორი პროფ. თ. ირემაძე). ინსტიტუტის ბაზაზე თარგმანზე მუშაობამ ახალი მიმართულება მიიღო: პროფ. ირემაძესთან ერთად *Ecce homo*-ს ტექსტი კრიტიკული გამოცემის ტექსტს შევადარეთ (Friedrich Nietzsche: *Sämtliche Werke. Kritische Studienausgabe in 15 Bänden (= KSA)*, hrsg. von Giorgio Colli und Mazzino Montinari. Neuauflage. Deutscher Taschenbuch Verlag, München, 1999, ტ. 6, გვ. 255-374) და გარკვეული უზუსტობები შევასწორეთ. იმ ეტაპზე ჩვენი სურვილი იყო ნაწარმოების ცალკე ტექსტად გამოცემა.

2008 წლის აგვისტოსთვის თითქოს ყველაფერი მზად იყო ჩვენი ჩანაფიქრის განსახორციელებლად, მაგრამ მოულოდნელად ატეხილმა ომმა ჩვენი გეგმები ჩამალა: იმ პერიოდში განვითარებულმა მძიმე მოვლენებმა აკადემიურ სფეროზეც მოახდინა გავლენა. ამავე დროს, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მხოლოდ *Ecce homo*-ს გამოცემით არ შემოვფარგლდელიყავით. გადაწყდა ფრიდრიხ ნიცშეს თხზულებათა პირველი ქართული აკადემიურ-კრიტიკული გამოცემის მომზადება.

2008-2010 წლებში გაგრძელდა ტექსტის შენიშვნებზე მუშაობა: ამ ეტაპზე შევეცადე, რომ შენიშვნები, ძირითადად, სტუდენტებისათვის ყოფილიყო სასარგებლო. ამავე პერიოდში ითარგმნა ნიცშეს შემოღობის პერიოდის წერილებიც (იხ. დანართი 2. შემოღობის პერიოდის წერილები ითარგმნა შემდეგი გამოცემის მიხედვით: Friedrich Nietzsche: *Briefwechsel. Kritische Gesamtausgabe*, hrsg. von Giorgio Colli und Mazzino Montinari, dritte Abteilung, Bd. 5: *Briefe von Nietzsche 1887-1889*, Walter de Gruyter, Berlin – New York, 1984, გვ. 567-579). ტექსტის შემდგომ დამუშავებასა და დახვეწაში დიდი წვლილი შეიტანა პროფ. ლალი ზაქარაძემ, რომელმაც გულმოდგინედ ნაიკითხა რო-

ფრიდრიხ ნიცშე – *Ecce homo*

გორც *Ecce homo*-ს ტექსტი, ასევე შენიშვნები ტექსტისადმი და ნიცშეს ცხოვრების ქრონიკა. მისი შენიშვნები და რჩევები ყოველთვის ანგარიშგასანევი იყო ჩემთვის. ტექსტში არსებული ფრანგული ციტატების ქართულად თარგმნასა და დაზუსტებაში დამეხმარა პროფ. დოდო ლაბუჩიძე.

დაბოლოს, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელიც თარგმანზე მუშაობის პროცესში გვერდით მედგა და სიტყვითა თუ საქმით უშურველად მეხმარებოდა.

გიორგი თავაძე

ვერონა, საქართველო
25 აგვისტო, 2010 წელი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა
კვლევითი ინსტიტუტის მიერ გამოცემული სამეცნიერო სერიები
და მათ ფარგლებში გამოქვეყნებულ ნაშრომთა ნუსხა:

I. სამეცნიერო სერია

„ფილოსოფია, სოციოლოგია, მედიის თეორია“:

- ტ. 1: ნიცმე საქართველოში. ეძღვნება თამაზ ზუაჩიძის ნათელ ხსოვნას, რედაქტორ-შემდგენი: თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 246 გვ.
- ტ. 2: ფილოსოფია – დიალექტიკა – ლოგიკა. სავლე წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, რედაქტორ-შემდგენელი: ლალი ზაქარაძე და თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2008, 200 გვ.
- ტ. 3: სიცოცხლის ფილოსოფია. პრობლემები და პერსპექტივები, რედაქტორ-შემდგენელი: ლალი ზაქარაძე და მიხეილ გოგატიშვილი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009, 88 გვ.
- ტ. 4: ლალი ანთიძე: ნიკოლოზ ლოსკის ინტუიტივიზმი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 244 გვ.
- ტ. 5: *Philosophy in Global Change. Jubilee volume dedicated to the 65th anniversary of Burkhard Mojsisch.* Edited by Tengiz Iremadze in collaboration with Helmut Schneider and Klaus J. Schmidt, Publishing House “Nekeri”, Tbilisi, 2011, 436 pp.

II. სამეცნიერო სერია „ფილოსოფია დღეს“:

- ტ. 1: თენგიზ ირემაძე: ვალტერ ბენიამინი. ცხოვრება, მოღვაწეობა, აქტუალობა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2008, 108 გვ.
- ტ. 2: *Tengiz Iremadze: Der Aletheiologische Realismus.* Schalwa Nuzubidse und seine neuen Denkansätze, „Nekeri“, Tbilisi, 2008, 117 S.

- ტ. 3: **ბურკჰარდ მოიზიში**: ჰუმანიზმის ეპისტემოლოგია, ინგლისურიდან ქართულად თარგმნა გიორგი ბარამიძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009, 90 გვ.
- ტ. 4: **ჰელმუტ შნიდერი**: ფილოსოფიური გეოგრაფია, გერმანულიდან ქართულად თარგმნა გიორგი თავაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 120 გვ.
- ტ. 5: **უდო რაინჰოლდ იეკი**: განაზრებანი ქართული ფილოსოფიის შესახებ, გერმანულ და ქართულ ენებზე, გერმანულიდან ქართულად თარგმნა ლალი ზაქარაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 88 გვ.
- ტ. 6: **ჰელმუტ შნიდერი, ლალი ზაქარაძე, გიორგი თავაძე, დოდო ლაბუჩიძე, თენგიზ ირემაძე**: რა არის თავისუფლება? დიდი მოაზროვნეები თავისუფლების არსის შესახებ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 144 გვ.
- ტ. 7: **გრიგოლ რობაქიძე და თანამედროვე აზროვნება**, რედაქტორ-შემდგენლები: მამუკა თავხელიძე, თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 144 გვ.

III. სამეცნიერო-მთარგმნელობითი სერია
„ფილოსოფია-სოციოლოგიის კლასიკური და
თანამედროვე ტექსტები. თარგმანები“:

- ტ. 1: **ნიკლას ლუმან**: საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია, გერმანულიდან თარგმნა დევი დუმბაძემ, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 37 გვ.
- ტ. 2: **ანრი ბერგსონი**: ცნობიერება და სიცოცხლე, ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 44 გვ.
- ტ. 3: **კარლ შმიტი**: ხმელეთი და ზღვა, მსოფლიო-ისტორიული განაზრება, გერმანულიდან თარგმნა გიორგი თავაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 180 გვ.

IV. ფრიდრიხ ნიცშეს რჩეული თხზულებები ქართულ ენაზე
(აკადემიურ-კრიტიკული გამოცემა):

- ტ. 1: **ფრიდრიხ ნიცშე: *Ecce homo***. როგორ ხდება ადამიანი ის, რაც ის არის, გერმანულიდან თარგმნა, შენიშვნები და გამოკვლევა დაურთო გიორგი თავაძემ, ტომის რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, თბილისი, 2010, 248 გვ.

გამოსაცემად მზადაა:

- ტ. 2: **ფრიდრიხ ნიცშე: კერპების მნუხრი**, გერმანულიდან თარგმნა, შენიშვნები და გამოკვლევა დაურთო გიორგი თავაძემ, ტომის რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე.